საქართველო და გლობალიზაცია

გლობალური საფრთხეები

მიგრაცია

მოამზადა ნინო გვარამაძემ

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური რისკების 2024 წლის ანგარიშში ერთ-ერთ საფრთხედ ნახსენებია იძულებითი მიგრაცია.

იძულებითი მიგრაცია არის იძულებითი გადაადგილება საზღვრებს გარეთ ან მის შიგნით. მისი მიზეზია მუდმივი დისკრიმინაცია და დევნა; ეკონომიკური წინსვლის შესაძლებლობების ნაკლებობა; ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფები; ბუნებრივი კატასტროფები და ამინდის ექსტრემალური მოვლენები, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების ჩათვლით; შიდა თუ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი.

გლობალიზაციამ ღრმა გავლენა მოახდინა მიგრაციაზე, სახელმწიფოებს შორის კავშირების გაუმჯობესებამ გამოიწვია ის, რომ მეტი ადამიანი, ვიდრე ოდესმე, ირჩევს სხვა ქვეყნებში ცხოვრებასა და მუშაობას. მიგრაციის მკვლევარი ლეილა სიმონა ტალანი განმარტავს, რომ ეს პროცესი ურთიერთგამომრიცხავი იყო, რადგან მიგრაციის მრავალი კრიზისის, რომელსაც მსოფლიო შეესწრო ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ფესვები გლობალიზაციაშია. იგი ასახავს გლობალიზაციასა და საერთაშორისო მიგრაციას შორის ურთიერთობის „ბნელ მხარეს“.

მოვლენები, რომლებიც ყოველდღიურად ვითარდება მიგრაციასთან დაკავშირებით, ბელორუსიისა და პოლონეთის საზღვარზე არსებული კრიზისიდან დაწყებული, ხმელთაშუა ზღვაში ადამიანების ტრაგიკული აღსასრული ხაზს უსვამს გლობალიზაციის „ბნელ მხარეს“.

კვლევაში ჩანს, რომ გლობალიზაცია წარმოიქმნება როგორც წინააღმდეგობებით სავსე პროცესი, რომლის შედეგები ზრდის სოციალურ შეუსაბამობებს და გეოგრაფიულ მარგინალიზაციას. გლობალიზაცია ავლენს თავის თანდაყოლილ „ბნელ მხარეს“ საერთაშორისო მიგრაციასთან მიმართებაში რიგი ფენომენების გამო, რომლებიც გაურბიან არსებულ კონტროლსა და რეგულაციას. ამ "ბნელი მხარის" სულ მცირე ოთხი ძირითადი კომპონენტი არსებობს.

საერთაშორისო მიგრაციაზე პოლიტიკური კონტროლის დაკარგვა

გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო მიგრაციის „ბნელი მხარე“ გულისხმობს, რამდენად და ვის მიერ არის შესაძლებელი გლობალიზაციით გამოწვეული მიგრაციული ნაკადების მართვა. ლიტერატურაში განიხილება შესაძლებლობა იმისა, რომ მიგრაციული ნაკადები უმართავი გახდეს.

კერძოდ, გლობალური პოლიტიკური ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნები იწვევს მოსახლეობის გადაადგილების სტრუქტურულ საჭიროებას როგორც რეგიონებში, ასევე მათ გარეთ. ქვემოთ მოყვანილია გლობალიზაციის სამი პარადოქსის შედეგი და მათი გავლენა

მიგრაციის მოტივებზე: მარგინალიზაციის პარადოქსი და მისი გავლენა ექსტრარეგიონული მუდმივი მიგრაციისა და ტვინების გადინების თვალსაზრისით; რეგიონალიზაციის პარადოქსი და მისი შედეგები შიდარეგიონული დროებითი მიგრაციის კუთხით; და სეკურიტიზაციის[1] პარადოქსი და მისი შედეგები არალეგალური მიგრაციის თვალსაზრისით.

ეს პარადოქსები მომდინარეობს გლობალიზაციის სტრუქტურული ბუნებიდან და შრომისა და ძალაუფლების ახალი გლობალური დანაწილების გაჩენიდან და, შესაბამისად, მიგრაციის სურვილის შეჩერება პოლიტიკურ სუბიექტებს არ შეუძლიათ. ამ პერსპექტივიდან მიგრაცია ვერ კონტროლდება, ვერ რეგულირდება და ვერ იმართება ვერც სახელმწიფოს მიერ და ვერც ზენაციონალური ინსტიტუტების მიერ. ერთადერთი შედეგი, რომელიც პოლიტიკურ ინსტიტუტებს შეუძლიათ მიიღონ საერთაშორისო მიგრაციაზე მარეგულირებელი რეჟიმების დაწესებით, არის რეგულარული მიგრაციის არალეგალურ მიგრაციაში გადაქცევა.

უფრო მეტიც, რეგიონალიზაციისა და მარგინალიზაციის პარადოქსების გამო, გლობალური პოლიტიკური ეკონომიკის არარეგიონალური, მარგინალური ტერიტორიების მოსახლეობას ეზრდება მიგრაციის მოტივაცია, რითაც ამატებს გლობალიზაციის „ბნელ მხარეს“ კიდევ ორ ელემენტს: მასობრივი მიგრაციის ზრდას და ტვინების გადინებას.

საერთაშორისო მიგრაციის „არარეგულარიზაცია“ და მიგრანტების კრიმინალიზაცია

მიგრაციის „არარეგულარიზაცია“ გლობალიზაციის კიდევ ერთი უარყოფითი შედეგია იქმნება უთანასწორობა შრომის ბაზრებზე, ე.წ. „თანამედროვე მონობის“ აღზევება, იზრდება დაღუპულთა რიცხვი.

მეცნიერთა საზოგადოებაში გავრცელებულია კონსენსუსი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო მიგრაცია ზოგადად მომგებიანია მასპინძელი საზოგადოებების ეკონომიკური საქმიანობისთვის. საერთაშორისო მიგრაცია ლიტერატურაში განიხილება, როგორც დადებითი მოვლენა დანიშნულების ქვეყნებისთვის, რადგან ის საშუალებას აძლევს მათ დაფარონ შრომის ბაზრის ხარვეზები, შეავსონ ადგილობრივი სამუშაო ძალის უნარები და გააძლიერონ მათი ეკონომიკის პროდუქტიულობა და ეფექტურობა.

ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ მიგრანტები ხშირად არასაკმარისად არიან დასაქმებულნი, მუშაობენ დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობა და უწევთ სამუშაო პირობების მიღება შესაბამისი სტანდარტების ქვემოთ, რაც ხშირად ხდება როგორც ლეგალური, ისე არალეგალური მიგრანტების შემთხვევაში. ფაქტობრივად, გლობალიზაციასთან დაკავშირებული მიგრაციული ნაკადების უარყოფითი ასპექტები მათი „არარეგულარიზაციის“ შედეგია, რაც არსებითად უწყობს ხელს მიმღები საზოგადოებების მიერ საერთაშორისო მიგრანტების მიმართ ნეგატიური განწყობების გაჩენას.

სეკურიტიზაციისა და მზარდი დაუცველობის პარადოქსი

[1] სეკურიტიზაცია - აქ: უსაფრთხოების უზრუნველყოფა

სეკურიტიზაციის პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ის ხშირად გამართლებულია, როგორც გლობალური ტერორიზმის შეზღუდვის საშუალება, მაგრამ, იმავდროულად, შეიძლება სეკურიტიზაციამ გააძლიეროს ტერორისტული ტენდენციები არა მხოლოდ პირველი თაობის, არამედ მეორე და მესამე თაობის მიგრანტებშიც. მიგრაციის პოლიტიკის სეკურიტიზაცია კონტრპროდუქტიულია, რადგან ის უბრალოდ იწვევს დაუცველობის ზრდას. ამის მიზეზი კი მიგრანტებისა და ლტოლვილების არარეგულარიზაციაა.

მიგრანტებისა და ლტოლვილების არარეგულარიზაცია იწვევს სახიფათო მოგზაურობას დანიშნულების ქვეყნებში მისასვლელად და მიგრანტების ჩართვას ორგანიზებულ დანაშაულში, კონტრაბანდასა და ექსპლუატაციაში. ეს ასევე იწვევს არასაიმედო სამუშაო პირობებს როგორც ადგილობრივი, ასევე მიგრანტი სამუშაო ძალისთვის, რაც ხელს უწყობს თანამედროვე მონობას. ის უბიძგებს არალეგალურ მიგრანტებს არალეგალური ეკონომიკისკენ და ხელს უწყობს მათ მარგინალიზაციასა და კრიმინალიზაციას მასპინძელი საზოგადოებების მიერ, ზრდის ციხის მოსახლეობის ეთნიფიკაციას და სტიმულს აძლევს დანაშაულის ჩადენას.

დაბოლოს, ეს იწვევს მიგრანტთა თემებს შორის მტრულ დამოკიდებულებას მიმღები ქვეყნების მიმართ. ამ მტრობას აქვს პოტენციალი გამოიწვიოს სოციალური არეულობა ან თუნდაც ტერორიზმი. მას, ასევე, შეუძლია საპირისპირო მიმართულებით იმოქმედოს მიგრანტთა თემების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მტრობის გაზრდით, რაც იწვევს ისლამოფობიას და მემარჯვენე პოპულიზმის ზრდას.

ეს ყველაფერი გლობალიზაციის ფარგლებში სეკურიტიზაციის პარადოქსის შედეგია. თუ საერთაშორისო მიგრაცია გლობალიზაციის სტრუქტურული კომპონენტია, პოლიტიკური ინსტიტუტები ვერ შეძლებენ მის შეჩერებას. პოლიტიკის ხარვეზი რეალურია. შემზღუდავი პოლიტიკის განხორციელება მხოლოდ საერთაშორისო მიგრაციის არარეგულარიზაციას იწვევს. მოკლედ, სეკურიტიზაციის გაზრდა ზრდის დაუცველობას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მიგრანტები, ლტოლვილები და ადგილობრივი მოქალაქეები ყველანი აგებენ ამ პროცესს, არიან ასევე აშკარა "გამარჯვებულები". ეს ის პოპულისტური და მემარჯვენე პარტიებია, რომლებმაც მიგრაციის წინააღმდეგ ოპოზიციას მხარდაჭერა გამოუცხადეს.

პოპულიზმი და ანტიმიგრანტული პარტიების აღზევება

პოპულიზმისა და პოპულისტური მემარჯვენე პარტიების შესახებ დებატები განახლდა ამ პარტიების წარმატების ბოლო ტალღის გამო მთელ მსოფლიოში. პოპულიზმი, თავისთავად, არ საჭიროებს გლობალიზაციის ნეგატიურ შედეგად განხილვას, თუმცა ლიტერატურაში ყველგან ხაზგასმულია პოპულისტური იდეოლოგიების ავტორიტარული ტენდენციები. ის ფაქტი კი, რომ პოპულიზმს ხშირად ახლავს გამოხატული ანტიმიგრანტული, ქსენოფობიური დისკურსი, რა თქმა უნდა, გლობალიზაციის „ბნელი მხარის“ ელემენტია.

მაგრამ რა კავშირია როგორც პოპულიზმისა და გლობალიზაციის ზრდას, ასევე, პოპულიზმსა და ანტიმიგრანტულ განწყობებს შორის? არის თუ არა პოპულისტური პარტიები არსებითად

ანტიმიგრანტული და ქსენოფობიური მიმართულების, თუ ისინი უბრალოდ იღებენ ამ პოზიციებს ამომრჩევლის მოსაზიდად? იმის გათვალისწინებით, რომ გლობალიზაციის დაწყება და პოპულისტური მოძრაობების საარჩევნო წარმატება არ ემთხვევა დროში, საეჭვოა, რომ მხოლოდ გლობალიზაცია შეიძლება ჩაითვალოს ბოლო პოპულისტური ტალღის სათავედ. ამის ნაცვლად, საერთაშორისო მიგრაციის მკვლევარი ლეილა სიმონა ტალანი ვარაუდობს, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისი და ევროზონის კრიზისი მოქმედებდა, როგორც კატალიზატორი, რომ გლობალიზაციის წინააღმდეგობები ევროპაში შესამჩნევი ყოფილიყო.

ეს აშკარაა, რადგან იმ ქვეყნებში, სადაც გლობალიზაციას არ მოუტანია ეკონომიკური სირთულეები, პოპულისტური რეაქცია არ იყო იგივე მასშტაბით. როგორც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, ასევე ევროზონის კრიზისმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სიმკაცრემ გაართულა დამარცხებულთა კომპენსაცია შესაბამისი ფისკალური პოლიტიკით.

ამ თვალსაზრისით, პოპულიზმის მიზეზი არ შეიძლება იყოს კულტურული. პირიქით, პოპულიზმს უნდა ჰქონდეს ეკონომიკური მიზეზი და პოპულიზმის კულტურული გამოვლინება და, კერძოდ, ანტიმიგრანტული გრძნობები, ეკონომიკური დაუცველობის გაუარესების შედეგია. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პოპულისტური პარტიების ანტიმიგრანტული პლატფორმები, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაძლიერდება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მიგრანტებს, რომლებიც მათი ყურადღების ცენტრში არიან, ხმის მიცემა არ შეუძლიათ.

საქართველო და მიგრაცია

ცხადია, რომ მიგრაცია მხოლოდ საფრთხეებს არ შეიცავს და მას დადებითი მხარეებიც გააჩნია.

ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. დასაქმების ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება მხოლოდ საკუთარ სამშობლოში არსებული შრომის ან განათლების ბაზრის პირობების გათვალისწინებით. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უწევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს. თუმცა ერთი საკითხია დამსაქმებლების და დასაქმებულების ბენეფიტები და მეორეა, რამდენად სასარგებლოა მიგრაცია ქვეყნის განვითარებისთვის.

მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი. ანაზღაურება კი არის ფასი, რომელსაც ადამიანის უნარებში იხდიან და, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ადამიანები კი ამჯობინებენ წასვლას იმ ქვეყნებში, სადაც უნარებზე ფასი მაღალია. განვიხილოთ უნარების ბაზარი, სადაც ფასი მოთხოვნა-მიწოდებით რეგულირდება, განსხვავებულ ქვეყნებში კი განსხვავებული წონასწორული ფასი[2] გვაქვს. ახლა დავუშვათ, რომ წარმოშობის ქვეყანაში წონასწორული ფასი დაბალია, რის გამოც მაღალი უნარების მქონე პიროვნებები ისეთ ქვეყანაში წასვლას ამჯობინებენ, სადაც მათი უნარების შესაბამისი ფასი უფრო მაღალია. შესაბამისად, წარმოშობის ქვეყანაში წარმოიქმნება უნარების დეფიციტი (მცირდება მაღალი უნარების მიწოდება), ქვეყანაში რჩებიან შედარებით დაბალი უნარების მქონე ადამიანები, მათი მწარმოებლურობა კი დაბალია, რის გამოც

[2] ფასი, რომელიც ყალიბდება ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების გათანაბრების დროს.

ფერხდება ეკონომიკური ზრდა. შესაბამისად, ქვეყნისთვის სავალალოა, როდესაც მას მაღალუნარიანი მოქალაქეები ტოვებენ.

გარდა მაღალუნარიანი მოსახლეობის მიგრაციისა, მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც სწორედ უნარების ასამაღლებლად ტოვებენ ქვეყანას. ერთი მხრივ, განვითარებადი ქვეყნისთვის დადებითი მოვლენაა ის, რომ მის მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება ეზიარონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიას, მიიღონ ცოდნა, რის დანერგვას და გაზიარებასაც საკუთარ ქვეყანაში შეძლებენ. მაგრამ მეორე მხრივ, არის კი ეს ყოველივე ასე? სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში პასუხი უარყოფითია. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციულ საკითხებთან მიმართებაში ძალიან მწირია სტატისტიკური მონაცემები, პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზღვარგარეთ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი იშვიათად ბრუნდება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან, განვითარებად ქვეყნებში, რისი მიზეზიც კვლავაც უნარების ფასთა სხვაობა და ამ უნარების გამოყენების შესაძლებლობაა. ხშირ შემთხვევაში განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ნაკლებ რესურსს უთმობენ კვლევასა და განვითარებას, რაც პირიქით, საკმაოდ პრიორიტეტულია მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, რაც მაღალი უნარების მქონე პირებს საკუთარი უნარების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას აძლევთ.

დავუბრუნდეთ ჩვენს სამშობლოს და დავუკავშიროთ მას აღნიშნული თეორია. თუ ჩვენი ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედავთ, 2014 წლისათვის ქვეყანას 88704 ემიგრანტი ჰყავს, ხოლო მხოლოდ 2014-2015 სასწავლო წელს ქვეყნიდან უცხოეთში სასწავლებლად 434 სტუდენტი წავიდა (არაოფიციალური სტატისტიკით ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია). საზღვარგარეთ წასული მოსახლეობის 63%-ის ასაკი 35 წელზე ნაკლებია, ხოლო 2008 წელს CRRC-ისა და ISET-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქართველ მიგრანტთა 35%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნიდან ხდება ე.წ. ტვინების გადინება, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის დადებითი მოვლენა ნამდვილად არაა. აღნიშნულის ნაწილობრივ მაინც თავიდან ასაცილებლად ჩამოყალიბდა ინიციატივა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნას, მხოლოდ იმ პირობით რომ ისინი უკან დაბრუნდებიან. სახელმწიფო კი თავის მხრივ ვალდებული იქნება მათ 6 თვის განმავლობაში შესთავაზოს ოპტიმალური სამუშაო ადგილი, სადაც სულ ცოტა, 3 წლის განმავლობაში იმუშავებენ. თუმცა, სტუდენტთა დიდი ნაწილის საზღვარგარეთ სწავლას მასპინძელი ქვეყნები/უნივერსიტეტები აფინანსებენ და არა მათივე სახელმწიფო. შესაბამისად, ისინი არც ვალდებულნი არიან რომ ქვეყანაში დაბრუნდნენ. აღნიშნული ინიციატივაც ბოლომდე ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, მანამ სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება მიმზიდველი სამუშაო გარემო, რაც თავად გაუჩენს ემიგრანტებს უკან დაბრუნების სურვილს.

განსაკუთრებით გაზრდილია საქართველოდან მიგრაცია 2020 წლის შემდეგ.

გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითი გავლენა აქვს, მიგრაციას ქვეყნის ეკონომიკისთვის სიკეთის მოტანაც შეუძლია, ეს სიკეთე კი საერთაშორისო ფულად გზავნილებში მდგომარეობს. საერთაშორისო გზავნილები, არც თუ ისე იშვიათად, ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს და ხელს უწყობს ადგილობრივი ვალუტის გამყარებას. ფულადი გზავნილები ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისების დროს ახდენს რისკების დივერსიფიკაციას და განსაკუთრებით ეხმარება ქვეყნის ეკონომიკას. ფულადი გზავნილები კი სწორედ იმ

მიგრანტებისგან მომდინარეობს, რომლებიც უცხო ქვეყნიდან ცდილობენ ოჯახის წევრების დახმარებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმიგრაცია გარკვეულ წილად საჭიროა, რათა არსებობდეს საერთაშორისო გზავნილები, ადგილობრივმა მოსახლეობამ შეძლოს მაღალგანვითარებადი ტექნოლოგიების შესწავლა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მაგრამ ეს ყოველივე მანამ, სანამ ადგილი ექნება ქვეყნიდან მაღალ უნარებიანი კადრების გასვლას, ე.წ. ტვინების გადინებას. ვინაიდან სწორედ მაღალუნარიანი კადრები არის ის მაღალი მწარმოებლურობის მქონე ადამიანური კაპიტალი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თუშუაშვილი თ. მიგრაცია - ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი? https://forbes.ge/blogs/e1-83-9b-e1-83-98-e1-83-92-e1-83-a0-e1-83-90-e1-83-aa-e1-83-98-e1-83-90-e1-83-a5-e1-83-95-e1-83-94-e1-83-a7-e1-83-9c-e1-83-98-e1-83-a1-e1-83-92-e1-83-90-e1-83-9c-e1-83-95-e1-83-98-e1-83-97/
2. Talani L.S. Migration and the ‘dark side’ of globalization. Migration and the 'dark side' of globalisation | EUROPP (lse.ac.uk)